694-03
8.12.2023

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს

ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2023 წლის ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ.

2023 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ მიღებულია 2 განცხადება, საიდანაც, ერთი განცხადება დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო ერთი განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

აღსანიშნავია, რომ ორივე განცხადება შეიცავდა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე რამდენიმე მოთხოვნას. საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივ დაკმაყოფილება ეფუძვნებოდა იმ გარემოებას, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განეკუთვნებოდა კონფიდენციალურ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური საჯარო ინფორმაციის გაცემისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს კონსტიტუციით", „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა" და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

ორივე განცხადებაზე პასუხი მოამზადა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა თეონა მაღრაძემ.

2023 წელს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დისციპლინური სახდელი არ დაკისრებია.

პატივისცემით,

შოთა ქადაგიძე

დამოუკიდებელი ინსპექტორი